„განათლება – თითოეული ადამიანის უფლებაა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა და პოტენციალი აქვს. თავისუფლების, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების პრინციპები სწორედ განათლებას ეფუძნება... არ არსებობს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი მისია, ვიდრე საყოველთაო განათლებაა“

კოფი ანანი, გაეროს გენერალური მდივანი 1997-2006 წლებში

(ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი 2001)

ზოგადი ინფორმაცია

სკოლის დასახელება – **სართიჭალის N1 საჯარო სკოლა**

პროექტის სათაური– **„დავიცვათ გარემო მავნე ნარჩენებისაგან“**

განხორციელების ვადები – **ოქტომბერი-ნოემბერი 2022წ.**

პროექტის კავშირი მდგრადი განვითარების მიზნებთან: **მგმ 3.4.6.11.15;**

ესგ-ს პრიორიტეტული თემა: **გარემოს დაცვა**

პროექტის ავტორი: **ირმა წიკლაური;**

I. საკითხის აქტუალობა (100- 150 სიტყვა)

სასკოლო საზოგადოებაში მდგრადი განვითარების პრინციპების გავრცელებისა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ სკოლაში ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მგმ- პრინციპების ცოდნა და გავრცელება შემოიფარგლება ცალკეული ღონისძიებებით. არ არსებობს სისტემური მიდგომა. მოსწავლეებს აქვთ ზოგადი წარმოდგენა აღნიშნულ საკითხებზე და საჭიროა მათი დახმარება, შეიმეცნონ რატომაა მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გაგება საჭირო და აუცილებელი. მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ აქვთ სურვილი აქტიურად ჩაერთონ მდგრადი განვითარების საკითხების განხილვაში, მათ გარშემო არსებული გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარებაში. თუმცა არ აქვთ შესაბამისი

ხელშეწყობა და წინარე გამოცდილება, ამოტომ სურთ ისწავლონ როგორ უნდა შეძლონ პრობლემების სხვადასხვა რაკურსით განხილვა და გადაჭრა.

მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას ასწავლონ და წაახალისონ მოსწავლეები მდგრადი განვითარების პრობლემებზე იფიქრონ არა მხოლოდ საკლასო ოთახში, არამედ ფორმალური განათლების სისტემის გარეთაც, თუმცა ისინიც აღნიშნავენ რომ ესაჭიროებათ მგმ მიმართულებით კომპეტენციების გაძლიერება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ ჩართონ მდგრადი განვითარების ამოცანები და იდეები საკუთარ სასწავლო პროგრამებში. ცხადია ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა უმთავრესი სკოლის საზოგადოების და პედაგოგთა დაინტერესებაა.

მდგრადი განვითარების პრიორიტეტების ფოკუსიდან დაკარგვა გამოიწვევს სწავლა-სწავლების პრობლემების გაღრმავებას, მოსწავლეთა დაბალ აკადემიურ შედეგებსა და ქცევით პრობლემებს. საბოლოო შედეგად ჩვენი კურსდამთავრებული გახდება არაკონკურენტუნარიანი, ვერ მოახდენს საკუთარი თავის რეალიზებას თანამედროვე საზოგადოებაში, ხოლო სკოლა სათანადოდ ვერ შეასრულებს სახელმწიფო დაკვეთას, დაკარგავს თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას.

საზოგადოების წინაშე მდგარი ამ პრობლემების გადაწყვეტის სხვა გზები არ არსებობს, აუცილებელია მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს ვასწავლოთ უკეთ გააცნობიერონ, შეიმეცნონ და გაიაზრონ ის, რაც ჩვენ გარემომცველ გარემოში, ეკონომიკასა და საზოგადოებაში ხდება და დღესვე იპოვონ პრობლემების გადაწყვეტის ოპტიმალური გზები საზოგადოების ყველა წევრისა და გარემოს ინტერესების დაცვისა და ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით.

ხელოვნური მასალები საფრთხეს უქმნიან ეკოლოგიურ გარემოს, რადგანაც მათ დაშლას ესაჭიროება ბევრად მეტი დრო, ვიდრე ბუნებრივ ნარჩენებს. კვლევებმა აჩვენა განსაკუთრებით პოლიეთილენის პარკებისა და პლასტმასის ნარჩენების მავნე გავლენის მზარდი ტენდეცია, რაც თანამედროვე ცხოვრებაში მსოფლიოს საერთო პრობლემა გახდა.

პროექტის განხორციელების შედეგად მოსწავლე შეძლებს გაიაზროს მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური მნიშვნელობა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, გარემოზე ადამიანის საქმიანობის შეფასება. ჩამოუყალიბდება და გამოავლენს გარემოსადმი მზრუნველ დამოკიდებულებას. მოზარდმა უნდა იცოდეს რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო. სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები. იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე. იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

სწავლა-სწავლების მიზნებიდან გამომდინარე მოსწავლეს ჩამოუყალიბდება და განუვითარდება როგორც ფუნქციურ-კოგნიტური უნარები ასევე ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის საკვანძო კომპეტენციები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, პრობლემების გადაჭრა, პასუხისმგებლობა, წიგნიერება, მეწარმეობა და ა.შ.

(აღწერეთ არსებული მდგომარეობა, რომელსაც პასუხობს დაგეგმილი საქმიანობა; ასევე აღწერეთ პრობლემა/საკითხი, რომლის გადაჭრასაც ემსახურება მოცემული პროექტი სკოლაში, რა მიზეზებითაა გამოწვეული და რა უარყოფითი შედეგები შეიძლება დადგეს სკოლაში აღნიშნული საკითხის მოუგვარებლობით)

II.პროექტის მიზანი და ამოცანები(რეალისტური, გაზომვადი, დროში მიღწევადი)

მიზანი: მოსწავლეებში მდგრადი განვითარების პრინციპების გავრცელება და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

სკოლის მოსწავლეთა გარემოსდაცვითი კულტურის ამაღლების გზით მავნე ნარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების პრევენციის ხელშეწყობა, მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა გარემოსდაცვით კონტექსტზე დაფუძნებით, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობას დედამიწის, როგორც საერთო სასიცოცხლო სივრცის, მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად. ამის გათვალისწინებით მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, გაიაზროს მდგრადი განვითარების მნიშვნელობა, ჩამოუყალიბდეს სწორი დამოკიდებულება გარემოს მიმართ, გაუჩნდეს გარემოს დაცვასა და მის აღდგენასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების სურვილი.

ამოცანები:

1. მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების, პასუხისმგებლობის ამაღლება/განვითარების ხელშეწყობა
2. გარემოსდაცვითი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა მოსწავლეებში
3. მოსწავლეებში მგმ შესახებ ცნობიერების ამაღლება

III. სამიზნე ჯგუფები (ვისი პრობლემის მოგვარებას ცდილობთ და ვინ შეიძლება მიიღოს კიდევ სარგებელი)

V–X კლასის მოსწავლეები;

IV. რისკების ანალიზი.

(აღწერეთ პროექტის რისკები. რა ფაქტორებმა შეიძლება შეგიშალოთ ხელი პროექტის აქტივობების განხორციელებაში. გაქვთ თუ არა შემუშვებული რისკების/საფრთხეების მართვის სტრატეგიები.)

რისკები		**ალბათობა***	**რისკის შემცირების სტრატეგია**
შიდა	მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია	საშუალო	სწორი, დროული ინფორმირება პროექტის მიზნებზე. პროექტში სკოლისა და თემის ჩართვა
გარე	დროის მენეჯმენტი	მაღალი	მეორე ცვლა ხელისშემშლელი ფაქტორია აქტივობების განხორციელებაში, ზოგიერთი აქტივობა განხორციელდება დღის პირველ ნახევარში, ონლაინ რეჟიმში ან შაბათ კვირას

V.სამოქმედო გეგმა

(პირველ სვეტში მიუთითეთ რა ამოცანების შესრულებას ისახავთ პროექტში მითითებული მიზნის მისაღწევად. მიზნის მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ორი ან სამი ამოცანა პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.)

ამოცანები	აქტივობა (საქმიანობა / მოქმედება)	რესურსი (რა რესურსი დაგჭირდებათ?)	ვადები	შენიშვნა/კომენტარი
მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება/ინფორმ	სკოლის /თემის საჭიროებათა კვლევა გარემოსდაცვით საკითხებზე	კითხვარი, პრინტერი, კომპიუტერი	ოქტომბერი	

ირებულობის გაზრდა	საინფორმაციო ბარათების და კედლის საორგანიზაციო გაზეთის შექმნა	თაბახი, ფორმატი, ფერადი ფანქრები		
	ლექცია – მდგრადი განვითარების მიზნები კითხვარი – ჩემი ეკოლოგიური ნაკვალევი	კომპიუტერი, პროექტორი, კითხვარი,	ოქტომბერი	
	ვიდეო რგოლების ჩვენება გარემოს დაბინძურებაზე, ანალიზი, განხილვა, დისკუსია;	კომპიუტერი, პროექტორი	ნოემბერი	
გარემოსდაცვითი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა მოსწავლეებში	გარემოს დასუფთავება	რეზინის ხელთათმანები, ნაგვის პარკები	ოქტომბერი	
	საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა თემაზე „ დაიცავი გარემო მავნე ნარჩენებისაგან“	პრინტერი, კომპიუტერი თაბახი	ნოემბერი	
	საინფორმაციო პოსტერის შექმნა გარემოს დაცვაზე	ფორმატი, ფერადი ფანქრები,ფოტოები	ნოემბერი	

VI. მოსალოდნელი შედეგები

(როგორია პროექტის მოსალოდნელი შედეგები; რა შეიცვლება და რომელი ჯგუფისთვის?)

სწავლა-სწავლების მიზნებიდან გამომდინარე მოსწავლეს ჩამოუყალიბდება და განუვითარდება როგორც ფუნქციურ-კოგნიტური უნარები ასევე ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის საკვანძო კომპეტენციები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, პრობლემების გადაჭრა, პასუხისმგებლობა, წიგნიერება, მეწარმეობა და ა.შ. **გრძელვადიან** პერსპექტივაში გაგრძელდება ერთობლივი სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარება გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, გაიზრდება მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერება, ჩამოუყალიბდებათ და განუვითარდებათ პრაქტიკული უნარჩვევები.დაიგეგმება და გატარდება გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი გარემოს განვითარებას, მიზნების განხორციელებას. აღნიშნულ პროექტში განხორციელებული აქტივობები მრავალჯერადად იქნება გამოყენებული სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების მიერ.

VII. პროექტის მდგრადობა

(როგორ წარმოგიდგენიათ პროექტის განვითარება პროექტის დასრულების შემდეგ?)

გაიზრდება ურთიერთანამშრომლობა და კომუნიკაცია სკოლის საზოგადოებასა და თემს შორის, სკოლის ავტორიტეტი თემში. შეიცვლება დამოკიდებულება მოსწავლეებისა სწავლისადმი, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებზე, გაიზრდება მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში და სკოლაში შეიქმნება უსაფრთხო, პოზიტიური, ტოლერანტობაზე დაფუძნებული სასწავლო გარემო. შედეგად მივიღებთ მოსწავლეებს, რომლებიც აცნობიერებენ საკუთარ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვასა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში.